საქართველოს მთავრობის

დადგენილება №81

2020 წლის 6 თებერვალი

ქ. თბილისი

„ტექნიკური რეგლამენტის – ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმლის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №137 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ტექნიკური რეგლამენტის – ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმლის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №137 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 19/03/2019, 300160070.10.003.021152) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტის – ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმლის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 12^1 პუნქტი:

„12^1. ყურძნისეული წარმოშობის სპირტიან სასმელში ნახშირბადის C13/C12 იზოტოპის თანაფარდობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ – 30-სა და არაუმეტეს – 26-ს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**